ოქმი N5

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 15 აპრილი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 12

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 12

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. დოდო გაბუნია
7. თეა გელანტია
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. ბექა მამაცაშვილი
11. თემურ გულუა
12. თენგიზ აბაკელია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 11 აპრილის N06/1139 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 11 აპრილის N06/1140 წერილის განხილვა („სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში" ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის

პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 11 აპრილის N05/1144 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (აღნაგობის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 12 აპრილის N06/1171 წერილის განხილვა („ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ფილიპია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 11 აპრილის N06/1139 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ განკარგულების პროექტით ხორციელდება ცვლილებები და მოწონებულ პროექტებს ემატება 7 ობიექტი: ქალაქ ხობში 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები, ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ წინაგოლაში გზის რეაბილიტაციის (ასფალტო-ბეტონი) სამუშაოები, ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში აია სოფიას ტაძართან მისასვლელი გზის მოწყობის (ცემენტო-ბეტონი) სამუშაოები, ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ დურღენაში სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობის (ასფალტო-ბეტონი) სამუშაოები, ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის მოწყობის (ცემენტო-ბეტონი) სამუშაოები, ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგისა და ახალი სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის მოწყობის (ასფალტო-ბეტონი) სამუშაოები და „სენაკი-ფოთი-სარფი" საერთაშორისო საავტომობილო გზის ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქვემო ქვალონის, საგვიჩიოს, ჭალადიდისა და პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულები) გარე განათების მოწყობის სამუშაოები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ფილიპია)

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 11 აპრილის N06/1140 წერილის განხილვა („სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“ ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“ ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადებები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. საქართველოს მთავრობის ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, ამ დადგენილებით განსაზღვრული პროექტების ინიცირება იწყება წინადადების მოწონების თაობაზე საკრებულოს გადაწყვეტილებით, რისთვისაც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ფილიპია)

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 11 აპრილის N05/1144 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (აღნაგობის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (აღნაგობის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მერიას წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ" სადაც აღნიშნულია, რომ სსიპ ,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო" ახორციელებს ,,საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის" პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ხარისხიანი სერვისების მიწოდების უზრუნველყოფას, რისთვისაც ითხოვენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 1500-2000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში აღნაგობის უფლებით გადაცემას 30 წლის ვადით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (აღნაგობის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ", რომლის თანახმადაც ქალაქ ხობში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისათვის სსიპ ,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" სარგებლობის უფლებით გადაეცემა ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (დამატებითი ქონება) 1976 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 45.21.25.265). გამომსვლელის

განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ფილიპია)

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 12 აპრილის N06/1171 წერილის განხილვა („ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მომზადებული პროექტების ინიცირება იწყება წინადადების მოწონების თაობაზე საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. რისთვისაც ამ ეტაპზე მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა